ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N88

ქ.გარდაბანი 20 ივნისი 2022 წელი

ერთის მხრივ გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერია (მის: ქალაქი გარდაბანი, დ. აღმაშენებლის #127) წარმოდგენილი მისი მერის მოადგილის ფუად მირზოევის სახით (შემდგომში,,შემსყიდველი") და მეორეს მხრივ შპს "ეტალონი-მედია"(მის: ქ.თბილისი, წერეთლის #116) წარმომადგენელი მისი დირექტორის მანანა ღოღობერიძის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი"), "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" საფუძველზე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის განკარგულების (SMP220001640) თანახმად მიღწეულ იქნა ურთიერთშეთანხმება შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1 ,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში - ,,ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2 ,,ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისთვის.
1.3 ,,დღე". ,,კვირა", ,,თვე"-კალენდარულიდღე, კვირა, თვე.
1.4 ,,შემსყიდველი"- ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5 ,,მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6 „მომსახურება"- ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი

2.1 ხელშეკრულების საგანია: საქართველოს ეროვნულ ინტელექტ-ჩემპიონატი ,,ეტალონი 2022" -ის ღონისძიების მომსახურება დისტანციურად თანდართული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.
2.2 კლასიფიკატორის კოდი: 79900000

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 2960 (ორი ათას ცხრაასსამოცი) ლარს.
3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმები და ვადები

4.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.
4.2 ანგარიშსწორება განხორციელდება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულებული სამუშაოს ღირებულების შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებუკლი დოკუმენტების დადასტურებიდან და მიღება-ჩაბარების აქტისგაფორმებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.
4.3 ხელშეკრულების მე-8 მუხლის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელზე დაკისრებული ჯარიმის (პირგასამტეხლო) ანაზღაურებამდე შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას ანგარიშსწორებაზე. ამ შემთხვევაში ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ შესაბამის ანგარიშზე ჯარიმის (პირგასამტეხლო) გადახდის შემდეგ.
4.4 წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.
4.5 დაფინანსების წყარო: 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა

5.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების მიწოდების ვადაა: 2022 წლის 23-24 ივნისი.

6. მხარეთა ვალდებულებები

6.1 ,,შემსყიდველი" ვალდებულია:

ა) ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებისთვის გადაუხადოს ,,მიმწოდებელს" შესრულებული ვალდებულების ღირებულება.

ბ) კონტროლი გაუწიოს ხელშეკრულების საგნის შესრულებას.

6.2 ,,მიმწოდებელი" ვალდებულია:

ა) სათანადო ნორმების დაცვით შეასრულოს ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებული ვალდებულება.

ბ) დროულად და წერილობით აცნობოს „შემსყიდველს" ვალდებულების შესრულებისას მოსალოდნელი შეფერხების შესახებ.

7. ინსპექტირების პირობები

7.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი, შეამოწმონ მოწოდებული მომსახურება, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.

7.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ახალგაზრდობის, სპორტის, საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის სამსახური.

7.3 ინსპექტირების გამწევის ფუნქციები:

ა) ,,მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ხარისხსა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

ბ) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ,,მიმწოდებელთან" ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

გ) ,,მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი შესრულებული ვალდებულების ნაკლოვანებებს ინსპექტირების გამწევი აფიქსირებს ოქმით. დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორება ხდება ,,მიმწოდებლის" მიერ საკუთარი ხარჯებით.

7.4. ,,მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისას გამოვლენილი ყველა ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება ,,მიმწოდებელს" საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. პირგასამტეხლო ხელშერულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1 ფორსმაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, გამოიყენება საჯარიმო სანქცია.

8.2 ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02% ოდენობით.

8.3 შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუკი მიმწოდებლის მხრიდან შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადების დარღვევის პერიოდი აღემატება 15 კალენდარულ დღეს.

8.4 ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

8.5 საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილ უნდა იქნეს მხარისთვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი ჯარიმის დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში.

8.6 თუ შემსყიდველი არ ასრულებს წინამდებაარე ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.2 პუნქტის მოთხოვნებს, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო მიმწოდებლისათვის ჩასარიცხი თანხის 0.02% -ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

8.7 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელთა გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

9.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება (მათ შორის მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტა) უნდა გაფორმდეს წერილობით - მხარეთა შეთანხმების სახით და დანართის სახით უნდა დაერთოს ხელშეკრულებას. მხარეთა წერილობითი შეთანხმება ცვლილების თაობაზე, ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწლად.

9.3 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისიწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

9.5 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.

9.6 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას, ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების ვადა.

9.7 ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.8 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეს დანარჩენი ვალდებულების შესრულებისგან.

9.9 შემსყიდველს აქვს უფლება მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ შემსყიდველისთვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, მათ შორის მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ნებისმიერი ისეთი დარღვევის დროს, რაც შეუძლებელს ხდის ნორმალური სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებას, ან იწვევს შემსყიდველის ინტერესის დაკარგვას სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებისადმი.

9.10 ამ მუხლის 9.9 პუნქტით მითითებულ შემთხვევაში, შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის ღირებულება.

10. უფლების გადაცემა

10.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულება.

11. კონტრაქტორები

11.1 მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა კონტრაქტის შესახებ.

11.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა კონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

11.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი კონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით არსებული მატერიალური ან სხვა ვალდებულებისგან.

12. დაუძლეველი ძალა

12.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას

(ასეთის გამოყენების შემთხვევაში), თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3 ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორსმაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ მათ შორის წარმოქმნილი ნებისმიერი დავა შესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა შეთანხმებით, ხოლო ასეთის მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13.2 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

14. სხვა პირობები

14.1 ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონულად ქართულ ენაზე, რომლის ყოველი ელექტრონული ეგზემპლარი ორიგინალია.

15.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

რეკვიზიტები:

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
გარდაბნის მუნიციპალიტეტი მის: ქალაქი გარდაბანი, დ.აღმაშენებლის №127 საიდენტიფიკაციო კოდი: № 226573204 მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა. მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში. ბანკის კოდი: TRESGE22	შპს "ეტალონი-მედია" მის: ქ.თბილისი, წერეთლის #116 საიდენტიფიკაციო კოდი:№204572024 ს.ს.„ბანკი ქართუ" ბ.კ. CRTUGE22 ანგარიშსწორების ანგარიში: № GE08CR0030086101003608

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ფუად მირზოევი	შპს „ეტალონი-მედია"-ს დირექტორი Etaloni-Media LLC Digitally signed by Etaloni-Media LLC Date: 2022.06.20 14:36:14 +04'00' მანანა ღოღობერიძე

Gardabani Municipality
Digitally signed by Gardabani Municipality
Date: 2022.06.20 15:28:16 +04'00'

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ.გარდაბანი 20.06.2022 წელი

ქვემოთ ხელის მომწერნი, ხელშეკრულების №88 გაფორმებაზე უფლებამოსილი პირი და ხელშეკრულების ინსპექტირების წევრები ვადასტურებთ, რომ აღნიშნული შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლის მოთხოვნებს და შესყიდვაში მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ---------- ფუად მირზოევი

განათლების, კულტურის, ახალგაზრდობის, სპორტის,
საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის სამსახური
პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ---------- ავთანდილ ჯანხოთელი

საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატი „ეტალონი“

„ეტალონის“ ფორმატით ინტელექტუალური კონკურსების მუნიციპალიტეტებსა და ქალაქებში დისტანციურ რეჟიმში ჩატარება

გარდაბნის მუნიციპალიტეტი

შპს „ეტალონი-მედია“ წარმოგიდგენთ პროექტის ნაწილობრივ ხარჯთაღრიცხვას

ხარჯის დასახელება	**თანხა (ლარი)**
კონკურსის შეკითხვების მომზადება-შერჩევა-რედაქტირება-პროგრამული დამუშავება „ეტალონის“ ექსკლუზიურ ფორმატში (პედაგოგების ჯგუფი და კითხვების მომზადების ჯგუფი, საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით)	872
„ეტალონის“ ექსკლუზიურ ფორმატში ინტელექტუალური კონკურსის დისტანციურ რეჟიმში ჩატარების ტექნიკური და შემოქმედებითი ჯგუფის შრომის ანაზღაურება (საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით)	1215
პროექტის საავტორო ჰონორარის ნაწილობრივი ანაზღაურება	421,47
ჯამი	2508,47
პლუს დღგ 18%	451,53
სულ	**2960**

დირექტორი

Etaloni-Media LLC Digitally signed by Etaloni-Media LLC Date: 2022.04.18 15:12:16 +04'00'

/მ.ღოღობერიძე/

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:**ბ18.18221574**

თარიღი:**06/06/2022**

სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' 54-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე" პუნქტის ,,ე.ე'' ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს^{1}"ქვეპუნქტის, მე-10^{1} მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3^{3} პუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული ,,გამარტივებული შესყიდვების კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის'' მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტისა და განათლების, კულტურის, ახალგაზრდობის, სპორტის, საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის სამსახურის 2022 წლის 10 მაისის N 04-182213052 წერილის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

მუხლი 1.

განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვა მედიაპროექტი „ეტალონი"-ს ინტელექტუალური კონკურსის „გარდაბნის ეტალონი მოსწავლე" ჩასატარებლად, თანხით 2960 (ორი ათას ცხრაას სამოცი) ლარი.

მუხლი 2.

დაევალოს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის შესყიდვების განყოფილებას, მედიაპროექტი „ეტალონი"-ს ღონისძიების გარდაბნის მუნიციპალიტეტში ჩასატარებლად, ექსკლუზიური უფლებით გამარტივებული შესყიდვის განხორციელების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება, შესყიდვის განხორციელებამდე შეათანხმოს სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან და თანხმობის მიღების შემთხვევაში, გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები.

მუხლი 3.

ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4.

ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ. N6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით.

დავითი კარგარეთელი

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080115319176322

№ 1892

08 / ივნისი / 2022 წ.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიისთვის სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი

1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2022 წლის 6 ივნისს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის SMP220001640 მომართვა ექსკლუზიური უფლებამოსილების საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

2. შესყიდვის ობიექტი და მისი ღირებულება

მომართვის მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაცია გეგმავს საქართველოს ეროვნული ინტელექტუალური ჩემპიონატის „ეტალონი 2022"-ის ღონისძიების ჩატარების მომსახურების შესყიდვას (CPV - 79900000 - სხვადასხვა კომერციული მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები), ღირებულებით 2960.00 ლარი.

3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ იგეგმება პროექტ „ეტალონის" ფორმატით ინტელექტუალური თამაშების ჩატარება. საქპატენტის მიერ გაცემული № 1197 სერთიფიკატის (21.01.2005 წ.) მიხედვით, პროექტ „ეტალონის" სცენარზე საავტორო უფლება გააჩნია გოჩა ტყეშელაშვილს, რომელმაც ზემოაღნიშნული პროექტის განხორციელებაზე ექსკლუზიური უფლებამოსილება 2019 წლის 20 აგვისტოს გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე 5 წლის ვადით გადასცა შპს „ეტალონი მედიას". შესაბამისად, მის გარდა არ არსებობს სხვა პირი, რომელიც შეძლებს შემსყიდველ ორგანიზაციას გაუწიოს მომართვაში აღნიშნული მომსახურება.

4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება

საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მოთხოვნებს.

6. სააგენტოს შეფასება

სააგენტო განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა ექსკლუზიური უფლებამოსილების საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელების შესაძლებლობა, იმდენად რამდენადაც, როგორც მომართვიდან ირკვევა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ იგეგმება პროექტ „ეტალონის"

ფორმატით ინტელექტუალური თამაშების ჩატარება. საქპატენტის მიერ გაცემული № 1197 სერთიფიკატის (21.01.2005 წ.) მიხედვით, პროექტ „ეტალონის“ სცენარზე საავტორო უფლება გააჩნია გოჩა ტყეშელაშვილს, რომელმაც ზემოაღნიშნული პროექტის განხორციელებაზე ექსკლუზიური უფლებამოსილება 2019 წლის 20 აგვისტოს გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე 5 წლის ვადით გადასცა შპს „ეტალონი მედიას“. შესაბამისად, მის გარდა არ არსებობს სხვა პირი, რომელიც შეძლებს შემსყიდველ ორგანიზაციას გაუწიოს მომართვაში აღნიშნული მომსახურება.

სააგენტო დამატებით აღნიშნავს, რომ მომსახურების გაწევაზე ექსკლუზიური უფლებამოსილების მქონე ორგანიზაციის შერჩევის პროცედურების წარმართვა წარმოადგენს შემსყიდველი ორგანიზაციის პასუხისმგელობას.

ამასთან, სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა. დამატებით აღვნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება შემსყიდველ ორგანიზაციას.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-8 პუნქტებით და დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის SMP220001640 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი «საქპატენტი»

სერტიფიკატი

N 1197

ავტორი:

გოჩა ტყემელაშვილი

ნაწარმოები:

ყველაზე ეროვნული მედიაპროექტი "ეტალონი" – სცენარი

რეგისტრირებულია:
2005 01 21

დავით გაბუნია
გენერალური დირექტორი

თბილისი